



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 24 ედკემბერი, 2021 წელი

დრო: 14:00 -16:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტულუში - ფონდი ლიბერალური აკადემია თბილისი
3. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია.
4. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
5. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
6. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“
7. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“.
8. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი

განსახილველი საკითხები:

- საორგანიზაციო საკითხები:
 1. ჯგუფების მუშაობის განრიგი 2022 წლისთვის
 2. პოზიციიდ დოკუმენტები
 3. სექტორული შეხვედრის თემატიკის განსაზღვრა 2022 წლისთვის
- პარლამენტის თავმჯდომარესთან განხილული საკითხის „საბჭოს ფორმირება“ განხილვა და წერილის მომზადება
- 2022 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება
- საელჩოებთან შეხვედრის თემატიკის განსაზღვრა

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ გახსნა საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა. მან დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

თავდაპირველად, მმართველი კომიტეტის თავმჯდომარის მიერ, შეჯამდა 2021 წლის პერიოდში, საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიერ განხორციელებული საქმიანობები. თავის მხრივ, სამუშაო ჯგუფების კოორდინატორებმაც, მოკლედ შეაჯამეს ჯგუფების აქტივობები.

გასული წლის საქმიანობის შედეგად, საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს განსაზღვრული აქვს ის კონკრეტული სფეროები და მიმართულებები, რა მიმართულებითაც გაგრძელდება და გაძლიერდება მუშაობა, 2022 წლის განმავლობაში, როგორც სამუშაო ჯგუფების ფორმატში, ისე სექტორული მიმართულებით. ასევე, ეროვნული პლატფორმა აქტიურად ჩართული იქნება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე, ეროვნული პლატფორმის სამდივნომ, 2022 წლისთვის, პროექტით დაგეგმილი აქტივობების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. ასევე, სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლების მხრიდან მიიღო დაპირება, რომ იანვრის ბოლომდე, სამუშაო ჯგუფები განსაზღვრავენ 2022 წლის პრიორიტეტულ თემებს და სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიებს წარმოადგენენ.

მომდევნო წლის განმავლობაში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა გეგმავს დიპლომატიურ კორპუსთან აქტიურ თანამშრომლობას.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევანჭურაძე

